„სტრასბურგის“ სასამართლოსთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები - რა უნდა ვიცოდეთ, რათა სტატისტიკით მანიპულირების მსხვერპლი არ გავხდეთ?

თამარ ქეცბაია[1]

შესავალი

2024 წელი საქართველოსთვის მრავალი გამოწვევის წელია. განსაკუთრებულ მნიშვნელობას მას შემოდგომაზე ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნები ანიჭებს. საარჩევნო წლისთვის დამახასიათებელია, გარკვეულწილად, ამომრჩევლისთვის ანგარიშის ჩაბარება, არსებული ვითარების გაცნობა და დაპირებების გაცემა. ამისთვის პოლიტიკოსები ხშირად მიმართავენ სტატისტიკურ მონაცემებსა და სხვადასხვა საანგარიშო პერიოდის მიხედვით, მათ შედარებებს.

სტატისტიკური მონაცემები, მართალია, ხშირად ერთ-ერთი საუკეთესო გზაა მოვლენათა შესაფასებლად, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუკი ისინი სწორად და კეთილსინდისიერად გამოიყენება და არა - მანიპულაციურად. მონაცემებით მანიპულირება განსაკუთრებით მარტივია მაშინ, როდესაც საკითხი, რომელზე მსჯელობისასაც ის გამოიყენება, ფართო საზოგადოებისთვის არ არის კარგად ცნობილი. ასეთი ვითარება ზრდის პოლიტიკოსების სტიმულს, გამოიყენონ მონაცემები ისე, როგორც მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნება და საზოგადოებას რეალობის დამახინჯებული სურათი მიაწოდონ.

სტატისტიკური მაჩვენებლებით მანიპულაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო შემთხვევა გამოიკვეთა Gnomon Wise-ის კვლევითაც, რომელიც გასულ წელს გამოქვეყნდა.[2] კვლევა ეხმიანება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი საჩივრების რაოდენობასთან დაკავშირებულ მრავალწლიან რიტორიკას. კერძოდ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლებს არაერთხელ გაუმახვილებიათ ყურადღება, რომ ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი საჩივრების რაოდენობა, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდთან შედარებით, რადიკალურად შემცირდა (ხშირად ამ განცხადებებში ფიგურირებდა 11-ჯერ შემცირების ფაქტი).

[1]კვლევითი ინსტიტუტის Gnomon Wise-ის მკვლევარი, საქართველოს უნივერსიტეტი. Email: t.ketsbaia@ug.edu.ge
[2]თამარ ქეცბაია, „ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების დინამიკა სასამართლოს ინსტიტუციური ევოლუციის ჭრილში“, Gnomon Wise, 2023. https://gnomonwise.org/public/storage/publications/May2023/oS7hWtaQ7Wya4WvQWPB3.pdf

ამასთან, მათივე მტკიცებით, აღნიშნული უტყუარად უკავშირდება ქვეყანაში ადამიანის უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ეროვნული სასამართლოების მიმართ საზოგადოების ნდობის ზრდას.

წინამდებარე სტატია განიხილავს სწორედ ხსენებული კვლევით გამოვლენილი მანიპულაციის შემთხვევას, როგორც მაგალითს იმისა, თუ როგორ არის შესაძლებელი საგამონაკლისო შემთხვევების არასწორი, მანიპულაციური გამოყენებით, რეალური სურათის მაქსიმალურად დამახინჯება. ამასთან, განხილულია ამ მონაცემებით მანიპულაციისთვის კიდევ ერთი, კარგად აპრობირებული ხერხი - შესადარებელი პერიოდების შერჩევა.

სტატიაში, ამასთანავე, წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოსთან დკავშირებული არაერთი მონაცემი. კერძოდ, განხილულია ის მონაცემები, რომლებიც ხშირად გვხვდება პოლიტიკოსთა განცხადებებში, ასევე ის მონაცემები, რომლებიც ხშირად საჯარო ინტერესის მიღმა რჩება, თუმცა მნიშვნელობით არათუ ჩამოუვარდება მათ, არამედ უფრო ღირებულიც კი შეიძლება იყოს სხვადასხვა დასკვნის გამოსატანად. ერთ-ერთ ასეთ სტატისტიკურ მონაცემს საქართველოს მთავრობის მიერ კონვენციის კონკრეტული მუხლების დარღვევის სტატისტიკა წარმოადგენს. საინტერესოა, რომ ამ მონაცემების განხილვა უფრო გვაახლოებს ქვეყნის შიგნით ადამიანის უფლებათა მდგომარეობის, მათ შორის, სასამართლოს მუშაობის შესახებ ინფორმაციის მიღებასთან, ვიდრე პროცედურულ ლაბირინთებში დაკარგული რიცხვები. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაშიც, მხოლოდ აღნიშნული მონაცემების საფუძველზე, პირდაპირი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას მოკლებულნი ვართ.

ევროპულ სასამართლოში საქართველოსთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემებით მანიპულაციის მაგალითები

ევროპულ სასამართლოში მიმართვიანობისა და საქართველოსთან დკავშირებული სხვა მონაცემების „გაუმჯობესება“ მართლაც შესამჩნევია. თუმცა, როგორც ზოგადად ევროპულ სასამართლოსთან, ისე კონკრეტულად საქართველოსთან მიმართებით არსებული, კვლევით გამოვლენილი, გარემოებების სიმრავლე პირდაპირ მიანიშნებს, რომ მხოლოდ არსებული მონაცემების შედარების გზით, ამ სახის დასკვნების გამოტანა შეუძლებელია. ერთ-ერთი ასეთი თვალსაჩინო გარემოებაა, 2008 წლის ომიდან გამომდინარე, საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი ათასობით საჩივარი. ამ მაგალითით კარგად ჩანს, თუ როგორ შეუძლია თუნდაც სხვა ქვეყნის მიერ

მართულ კამპანიას, რადიკალურად შეცვალოს მეორე ქვეყნის სტატისტიკური სურათი. კერძოდ, სუბარია ომთან დაკავშირებით, რუსეთის სახელმწიფოს ორგანიზებით, საქართველოს წინააღმდეგ 3 300-ზე მეტი იდენტური, ინდივიდუალური საჩივრის დარეგისტრირებაზე, რამაც გავლენა იქონია არა მხოლოდ 2008 წლის სტატისტიკურ მონაცემებზე, არამედ შემდეგ წლებში საქმეთა განხილვის მიმდინარეობაზეც. ცხადია, ამ საჩივრების გათვალისწინება ქვეყნის შიგნით ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ არსებული მდგომარეობის შესაფასებლად, მისი კამპანიური ხასიათიდან და აშკარა უსაფუძვლობიდან გამომდინარე, დაუშვებელია.

გასათვალისწინებელია, რომ ხელისუფლების რიტორიკის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ გარკვეულ გაუმჯობესებებზე აპელირება, არამედ რადიკალურ ცვლილებაზე ხაზგასმა, იმის ჩვენება, თუ რამდენად მძიმე იყო მდგომარეობა წინა ხელისუფლების დროს და როგორ შეიცვალა ის ბოლო 10 წლის განმავლობაში. მანიპულირების ცდუნებაც სწორედ ასეთ მიზანზე სწორებისას იჩენს თავს. სამწუხაროდ, გამონაკლისი არც მოცემული შემთხვევა ყოფილა.

ამ კონკრეტულ მონაცემებთან დაკავშირებით, საინტერესოა ისიც, თუ როგორ ირჩევს შესადარებელ პერიოდებს განმცხადებელი, ამ შემთხვევაში, ხელისუფლება. ამისთვის კი ორ თვალსაჩინო შემთხვევას განვიხილავთ.

პირველი, როგორც ზევით ვახსენეთ, მიმართვიანობის 11-ჯერ შემცირების რიტორიკას ეხება. 2017 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოაქვეყნა „სასამართლო სისტემის 2013-2017 წლების ანგარიში“, რომელშიც, ბევრ სხვა მონაცემთან ერთად, წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი საჩივრების სტატისტიკა. ანაგრიში გვამცნობს, რომ აღნიშნული მაჩვენებელი 11-ჯერ არის შემცირებული. შემდეგ უფრო დეტალურად არის ახსნილი, თუ რას ეფუძნება ეს დასკვნა.

„2008-2011 წლებში საქართველოდან სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გაიგზავნა 4 663 საჩივარი, ხოლო 2013-2016 წლებში 11-ჯერ ნაკლები - 415 საჩივარი“ - ვკითხულობთ ანგარიშში.[3]

ასევე, მეტი თვალსაჩინოებისთვის, წარმოდგენილია გრაფიკიც, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას წლების მიხედვით საჩივრების განაწილების შესახებ.

[3] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, „სასამართლო სისტემის 2013-2017 წლების ანგარიში“, 2017, 25.



მახვილი თვალი უმალ შეამჩნევს, რომ 2012 წელი არც ერთ საანგარიშო პერიოდში არ მოხვდა. მიზეზი უცნობია, რადგან რაიმე დათქმას და ახსნა-განმარტებას თავად ანგარიში არ გვთავაზობს. მეტიც, თუკი ანგარიშში წარმოდგენილ სხვა მონაცემებს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ 2012 წლის მონაცემები შერჩევითად არის გამოყენებული და მეტწილად, მხედველობაში მიღებულია ისეთ შემთხვევებში, როდესაც მათი გამოყენება ქართული ოცნების ხელისუფლების სასიკეთო შედეგებს წარმოაჩენს.[4] ევროპულ სასამართლოში გაგზავნილ საჩივრებთან მიმართებითაც, საინტერესოა, რომ ბოლო 4-წლიან პერიოდში (2013-2016 წწ) ნამდვილად იკლებს მაჩვენებლი. თუმცა პრობლემა ისაა, რომ შესადარებლად გამოყენებულია არა 2012-2009 წლების 4 წლიანი პერიოდი, არამედ 2008-2011 წლების. საინტერესოა ის, თუ რა მოხდებოდა 2012 წლის საანგარიშო პერიოდის მხედველობაში მიღებით. ამ შემთხვევაში, 2008 წლის მონაცემები შედარებაში მონაწილეობას არ მიიღებდა და მის ნაცვლად 2012 წლის მონაცემები მიითვლებოდა. შედეგად, 2008 წლის 1 771 საჩივრის ნაცვლად, 367 საჩივარი (1 404 საჩივრით ნაკლები) გამოვიდოდა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების ბალანსზე. ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად შეცვლიდა დასკვნას. კერძოდ, ამ შემთხვევაში, არა - ორნიშნა (11-ჯერ) კლება, არამედ ერთნიშნა (7,8-ჯერ კლება) გამოვიდოდა.

[4] მაგალითად, ერთ-ერთი დასკვნით, 94%-ით შემცირდა აღკვეთის ღონისძიების სახედ მოთხოვნილი გირაოს თანხის სრულად დაკმაყოფილების მაჩვენებელი. ეს დასკვნა ეფუძნება 2009-2012 წლების (როცა გირაოს საერთო ოდენობამ 91 მილიონი ლარი შეადგინდა) და 2013-2016 წლების (როცა გირაოს საერთო ოდენობამ 5 მილიონი ლარი შეადგინა) მონაცემების შედარებას. ამ კონკრეტულ მონაცემთან მიმართებით, საინტერესოა, რომ 2012 წელს გირაოს ოდენობამ 27 910 500 ლარი შეადგინა, რაც 2009-2012 წლების პერიოდში დაკმაყოფილებული გირაოს დაახლოებით 31%-ს შეადგენს.

ამ სახის სტატისტიკური მონაცემებით მანიპულაციის უახლეს და ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ შემთხვევად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 აპრილის facebook პოსტი.[5] კერძოდ, საქართველოს მთავრობამ დაამზადა სპეციალური ბარათი, რომელიც, საქართველოდან სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილი საქმეების რაოდენობის მხრივ, ერთმანეთს ადარებს ორ პერიოდს - 2012 წლამდე არსებულსა და 2023 წლის პერიოდს (შესაბამისად, 3 თვე და 10 დღე).

ბარათის მიხედვით, 2012 წლამდე საქართველოდან სტრასბურგის სასამართლოში 5 000-ზე მეტი საჩივარი გაიგზავნა, ხოლო 2023 წელს - მხოლოდ 150. გარდა იმისა, რომ შესადარებელი პერიოდების ამ ფორმით შერჩევა (13-წლიანი პერიოდის შედარება 3-თვიან პერიოდთან) სრულიად გაუგონარია, ამ მწირი ინფორმაციის შემცველ ბარათში სხვა არაერთი უზუსტობაც გვხვდება. მაგალითად:

1. წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები, სინამდვილეში, არის არა სასამართლოში გაგზავნილი საჩივრების რაოდენობას, არამედ სასამართლოს დანაყოფებისთვის გადაცემული საჩივრების რაოდენობას.
2. მონაცემები, რომლებიც, თითქოს, 2023 წლის 3-თვიან პერიოდს ასახავს (იგულისხმება 150 საჩივარი), სინამდვილეში 2022 წლის საანგარიშო პერიოდში დანაყოფებისთვის გადაცემული საჩივრების რაოდენობაა.
3. ამასთან, ევროპულ სასამართლოში მნიშვნელოვანია არა ის, თუ რამდენი საჩივარი გაიგზავნა საქართველოდან, არამედ რამდენი გაიგზავნა საქართველოს წინააღმდეგ. სტატისტიკაც სწორედ ამ სახით მუშავდება.
4. და ბოლოს, საზოგადოების მხრიდან პოსტის სამართლიანი კრიტიკის საპასუხოდ, საინფორმაციო ბარათს დაემატა ამხსნელობითი ტექსტი, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „სტრასბურგის სასამართლოს წარმოებაში არსებული მიმდინარე საქმეების რაოდენობა საქართველოს წინააღმდეგ შეადგენს 150-მდე საქმეს, რაც ისტორიული მინიმუმია.“

[5] საქართველოს მთავრობის facebook გვერდი
https://www.facebook.com/photo/?fbid=600872405407110&set=a.292724532888567

მართალია, მიმდინარე საქმეების რაოდენობა 2023 წელს, წინა წლებთან შედარებით, ნამდვილად შემცირებული იყო და მეტიც, 2007 წლიდან (ამ სახის მონაცემები მხოლოდ 2007 წლიდან არის ხელმისაწვდომი) მოყოლებული, მართლაც ყველაზე ცოტა სწორედ ამ წელს დაფიქსირდა, ეს არ ნიშნავს, რომ საქმე ისტორიულ მინიმუმთან გვაქვს. იმის გათვალისწინებით, რომ 1999 წლიდან მოყოლებული, რამდენიმე წლის განმავლობაში, სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ მხოლოდ რამდენიმე ათეული საჩივარი იყო წარდგენილი, ლოგიკურია, რომ პირველ წლებში მიმდინარე საქმეების რაოდენობა რამდენჯერმე ჩამოუვარდებოდა 150-ს.

ორივე განხილულ შემთხვევაში ვხედავთ განმცხადებლების სურვილს, წინა ხელისუფლების მმართველობის პირობებში არსებული რეალობა უფრო დაამძიმონ და დაგვანახონ, თუ როგორ რადიკალურად არის სიტუაცია შეცვლილი. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასეთ რადიკალურ შემცირებაზე აპელირება ისე, რომ მას არ ახლავს შესაბამისი განმარტება, თავისთავად მოიაზრებს, რომ ავტორები ზემოთ ხსენებულ 3 300-ზე მეტ საჩივარს არ გამორიცხავენ, არ აღიარებენ მათ განსაკუთრებულ ხასიათს და ქვეყნის შიგნით უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობის შესაფასებლად იყენებენ. როგორც არაერთხელ აღინიშნა, ეს მონაცემები სრული სიზუსტითაც რომ იყოს წარმოდგენილი, ამ სახის დასკვნების გაკეთება მხოლოდ მათზე დაყრდნობით მაინც არასწორია, რაც Gnomon Wise-ის ხსენებულ კვლევაში დეტალურად არის ახსნილი.

საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში - საჯარო ინტერესს მიღმა დარჩენილი სტატისტიკური მონაცემები

2024 წლის 25 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2023 წლის საანგარიშო პერიოდის შემაჯამებელი ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშიდან ირკვევა, რომ წინა საანგარიშო წელთან (74 650 საჩივარი) შედარებით, საგრძნობი კლების მიუხედავად, სასამართლოს გამოწვევად კვლავ რჩება მიმდინარე საჩივრების დიდი რაოდენობა (68 450). თუმცა, ამ ფონზე, სასამართლო ეფექტიანად უმკლავდება გამოწვევებს, რაც დასტურდება წინა წელთან შედარებით, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობის ზრდითაც (6 931 გადაწყვეტილება, 2022-ში კი ეს რიცხვი 4 168-ს უდრიდა). 2023 წლისთვის სასამართლოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დასახელდა სახელმწიფოთაშორისი დავების ზრდა, რომელთაგან რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებული საქმეების დროული გადაწყვეტა სასამართლოს გაცხადებულ პრიორიტეტს წარმოადგენს.

საქართველოსთან მიმართებით, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, რადიკალური ცვლილებები არ შეინიშნება, თუმცა საინტერესოა გარკვეულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვება.

2023 წლის საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის, საქართველოს წინააღმდეგ 185 მიმდინარე საქმე ირიცხება. თუ გავიხსენებთ აპრილის თვეში მთავრობის მიერ ამ მონაცემზე აპელირებას (150 საქმე) და მის „ისტორიულ მინიმუმად“ მოხსენიებას, ვნახავთ, რომ ამ მხრივ მდგომაროება მცირედით „გაუარესდა“, რამდენადაც ეს რიცხვი გაზრდილია. ასევე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მიმდინარე საქმეების რაოდენობას 2012 წლიდან კლების ტენდენცია ახასიათებდა, 2023 წლის მონაცემებით კი, მატება პირველად ფიქსირდება (იხ. გრაფიკი 1).

გრაფიკი 1: საანგარიშო პერიოდის ბოლოს საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს დანაყოფების წინაშე განხილვის ეტაპზე მყოფი საჩივრების რაოდენობა (მიმდინარე საქმეები)



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ, ევროპული სასამართლოს წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით

როგორც აღინიშნა, ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებად სტატისტიკურ მონაცემს, საანგარიშო წლის განმავლობაში, სასამართლო დანაყოფებისთვის გადაცემული საჩივრების რაოდენობა წარმოადგენს. 2023 წლის მონაცემების გათვალისწინებით, ამ მხრივ ვითარება, მეტწილად, უცვლელია. კერძოდ, აღნიშნული რიცხვი მხოლოდ ექვსი ერთეულით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს და შენარჩუნებულია ზრდა (იხ. გრაფიკი 2).

გრაფიკი 2: საანგარიშო პერიოდში ევროპული სასამართლოს დანაყოფებისთვის გადაცემული, საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული, საჩივრები



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ, ევროპული სასამართლოს წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით

გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, დანაყოფებისთვის გადაცემული საქმეების რაოდენობას, ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ითვლის. კერძოდ, მაჩვენებელი ასახავს გადაცემული საჩივრების რაოდენობის ფარდობას 10 000 მოსახლესთან. 2023 წლის მაჩვენებლით (0.42), რომელიც აღემატება წინა წლების მაჩვენებლებს (2022 – 0.41; 2021 – 0,32), საქართველო, 46 წევრ ქვეყანას შორის, მე-18 ადგილს იკავებს (ქვეყნები დალაგებულია დაბალი მაჩვენებლიდან მაღლისკენ)[6] (იხ. გრაფიკი 3).

[6] European Court of Human Rights, "Analysis of statistics 2023", January 2024, ცხრილი 5. https://www.echr.coe.int/documents/d/echr/stats-analysis-2023-eng

გრაფიკი 3: სასამართლოს დანაყოფებისთვის გადაცემული საჩივრები, ფარდობა 10 000 მოსახლესთან



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ, ევროპული სასამართლოს წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით

ასევე, Gnomon Wise-ის კვლევაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საქართველოს მთავრობის მხრიდან ცალმხრივი დეკლარაციებისა და მეგობრული მორიგებების გამოყენების პრაქტიკაზე. კერძოდ, ანალიზით დგინდება, რომ 2013 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მთავრობა აქტიურად მიმართავდა დავის დასრულებას ამ მექანიზმების გამოყენებით, რაც, თავის მხრივ, იზიარებდა ევროპული სასამართლოს ზოგად ტენდენციას. კვლევაში წარმოდგენილია რესპონდენტთა მოსაზრებები. ერთ-ერთი რესპონდენტის ვარაუდით, საქართველოს შემთხვევაში, მორიგებებისა და დეკლარაციების დიდი რაოდენობა განპირობებული იყო მთავრობის ინტერესით, რაც შეიძლება მეტ საქმეზე ეღიარებინა წინა ხელისუფლების დროს დარღვევების ფაქტები. მეორე რესპონდენტი, თავის მხრივ, დიდი რაოდენობით მორიგებებსა და ცალმხრივ დეკლარაციებში პრობლემას ვერ ხედავს, თუმცა მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმაზე დაკვირვებას, თუ რამდენად შეინარჩუნებს ამ ტენდენციას მთავრობა. სწორედ ამ მხრივ არის მნიშვნელოვანი ამ სტატისტიკურ მონაცემზე დაკვირვება. როგორც 2023 წლის ანგარიშიდან ირკვევა, კვლავ შენარჩუნებულია წინა წლების ტენდენცია, რაც ამ მექანიზმების გამოუყენებლობას გულისხმობს (იხ. გრაფიკი 4). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დრომდე, უშუალოდ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით წარდგენილ საჩივრებზე, მხოლოდ ერთი მეგობრული მორიგება ფიქსირდება, რაც მეტ დამაჯერებლობას სძენს პირველი რესპონდენტის მოსაზრებას.

გრაფიკი 4: ევროპული სასამართლოს დანაყოფების მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ დავებზე მეგობრული მორიგებისა და ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე საჩივართა ამორიცხვის გადაწყვეტილებები წლების მიხედვით



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ, ევროპული სასამართლოს მონაცემებზე[7] დაყრდნობით.

დავის ალტერნატიული მექანიზმებით დასრულების შემთხვევებისგან განსხვავებით, გაზრდილია დავის სასამართლოს გადაწყვეტილებით დასრულების შემთხვევები. სამწუხაროდ, ამ სახის მონაცემები, ასევე, სხვადასხვა მუხლის დარღვევის შემთხვევათა დინამიკა, ყველაზე ნაკლებად განხილვად საკითხს წარმოადგენს. შემდეგი ნაწილი სწორედ ამ სახის მონაცემების განხილვას ეთმობა.

საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებებისა და კონვენციის მუხლების დარღვევის სტატისტიკა

საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი 1999 წლიდან გახდა და სწორედ ამ დროიდან მოქმედებს მასზე ევროპული სასამართლოს იურისდიქცია. ამ პერიოდიდან 2023 წლის ჩათვლით (24-წლიან პერიოდში), სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ სულ 160

[7] "Friendly settlements and unilateral declarations by ECHR," *tableau public*. https://public.tableau.com/app/profile/echr/viz/FriendlysettlementsandUnilateraldeclarations/OverviewFSDU

გადაწყვეტილება გამოიტანა (პირველი გადაწყვეტილება 2004 წელს გამოვიდა). მათგან, როგორც მინიმუმ, ერთი მუხლის დარღვევა 130 შემთხვევაში დადგინდა (იხ. გრაფიკი 5).

გრაფიკი 5: საქართველოს წინააღმდეგ დავებზე ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობა და ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც კონვენციის ერთი მუხლის დარღვევა მაინც დადგინდა



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ, ევროპული სასამართლოს წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით.

როგორც გრაფიკი 5-დან ირკვევა, გადაწყვეტილებათა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2023 წელს დაფიქსირდა. კერძოდ, უშუალოდ 2023 წლის საანგარიშო პერიოდში 17 გადაწყვეტილება გამოვიდა, რომელთაგან, როგორც მინიმუმ, ერთი მუხლის დარღვევას 12 გადაწყვეტილება ადგენს.[8] საინტერესოა, რომ სასამართლოს გადატვირთულობიდან გამომდინარე, 2021 წლამდე სასამართლოს, უმეტესწილად, გადაწყვეტილებები გამოჰქონდა იმ საქმეებზე, რომლებშიც დავის საგანს „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პირობებში განხორციელებული ქმედებები წარმოადგენდა. ამ მხრივ, ვითარება იცვლება 2021 წლის მეორე ნახევრიდან, რამდენადაც ამ დროიდან მიღებულ გადაწყვეტილებათა უმეტესობა 2013 წლის შემდეგ პერიოდში მომხდარ შემთხვევებს ეხება. კერძოდ, 35 გადაწყვეტილებიდან, 28 გადაწყვეტილება 2013 წლის შემდეგ შეტანილ საჩივრებთან დაკავშირებით არის გამოტანილი (ამ 28 გადაწყვეტილებიდან, 24-ში, მინიმუმ, კონვენციის ერთი მუხლის დარღვევა მაინც დადგინდა). ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდის

[8] “Violations by Article and by State,” echr.coe.int. https://www.echr.coe.int/documents/d/echr/stats-violation-2023-eng

გადაწყვეტილებათა უდიდესი ნაწილი უფრო ახალი პერიოდის საქმეებს ეხება და ამასთან, უახლესი გადაწყვეტილებების ანალიზიც ადასტურებს იმას, რომ სასამართლო მეტწილად გათავისუფლდა ძველი საქმეებისგან, რაც, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს, რომ ახალ საჩივრებს უფრო შემჭიდროებულ ვადებში უპასუხოს.

საინტერესოა იმის განხილვაც, თუ კონვენციის რომელი მუხლების დარღვევის ფაქტები დომინირებს საქართველოს შემთხვევაში. 2004-2023 წლებში გამოტანილ გადაწყვეტილებათა ანალიზი (იხ. დანართი 1) გვიჩვენებს, რომ 20-წლიან პერიოდში, ყველაზე ხშირად სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დადგინდა (45 შემთხვევა). ასევე ჭარბობს არაჰუმანური ან არაადამიანური მოპყრობის ან სასჯელის (31 შემთხვევა) და თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევის შემთხვევები (28 შემთხვევა). თვალშისაცემია დისკრიმინაციის აკრძალვისა და წამების აკრძალვასთან დაკავშირებით არაეფექტური გამოძიების შემთხვევების რაოდენობაც (21-21 შემთხვევა).

დანართ 1-ში კონკრეტული მუხლების დარღვევები წლების მიხედვით არის ჩაშლილი. ცხრილის თანახმად, ბოლო სამ წელიწადში ყველაზე ხშირად სამართლიანი სასამართლოს უფლების, დისკრიმინაციის აკრძალვისა და თავისუფლებისა და უსაფრთხოების შესახებ უფლებების დარღვევის შემთხვევები დაფიქსირდა. ამასთან, ბოლო ორ წელიწადში შეინიშნება შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების დარღვევის სამი შემთხვევა (რომლებიც 2013, 2016 და 2020 წლებში შეტანილ საჩივრებს ეხება) მაშინ, როდესაც, ამ პერიოდამდე, მსგავსი ფაქტი მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა. ბოლო სამწლიანი პერიოდის განხილვა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ, როგორც აღინიშნა, 2021 წლის მეორე ნახევრიდან მიღებულ გადაწყვეტილებათა 80% სწორედ 2013 წლის შემდეგ შეტანილ საჩივრებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებია. შესაბამისად, ამ სახის გადაწყვეტილებები უფრო მეტად ასახავს ქვეყნის შიგნით ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ არსებულ ვითარებას.

***

წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს არა მონაცემებზე დაყრდნობით რაიმე დასკვნების გაკეთება, არამედ იმის შეხსენება, რომ ამ სახის სტატისტიკური მონაცემები, როგორ ზუსტად და დეტალურადაც უნდა იყოს წარმოდგენილი, მაინც არ არის საკმარისი, ზოგადად, ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ ქვეყანაში არსებული ვითარებისა თუ სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის გასაზომად.

ამასთან, სტატიაში შემოთავაზებულია ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებითაც ხელისუფლება ხშირად მანიპულირებს და განხილულია მანიპულაციის ხერხები. ასევე, განხილულია მონაცემები, რომლებიც ხშირად საჯარო ინტერესს მიღმა რჩება, თუმცა ბევრად უფრო ღირებული შეიძლება იყოს მათზე დისკუსია. ამ საკითხებზე ინფორმირებულობა, თავის მხრივ არის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი მანიპულაციის გავლენების შესასუსტებლად.

დანართი 1: 2004-2023 წლების პერიოდში საქართველოს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა კონვენციის მუხლების დარღვევის შემთხვევები (წლების მიხედვით ცალ-ცალკე)

	მუხლი	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	ჯამი
გადაწყვეტილებათა ჯამი		**2**	**3**	**5**	**8**	**6**	**11**	**4**	**4**	**12**	**2**	**3**	**4**	**4**	**12**	**10**	**14**	**15**	**13**	**11**	17	**160**
როგორც მინიმუმ ერთი მუხლის დარღვევა		1	3	5	4	4	11	4	3	8	2	1	2	4	9	9	13	12	12	11	12	**130**
დარღვევის გარეშე					4	2			1	2		2	1		3	1	1	3	1	0	5	**26**
მეგობრული მორიგება, ამორიცხვა		1																				**1**
სხვა გადაწყვეტილებები										2			1									**3**
სიცოცხლის უფლება	2								1							2	1	2				**6**
არაეფექტური გამოძიება	2							1	2							2	1	3		1	2	**12**
წამების აკრძალვა	3														1						1	**2**
არაჰუმანური ან არაადამიანური მოპყრობა ან სასჯელი	3		2		1		7			4	2	1			2	1	4	3	1	2	1	**31**
არაეფექტური გამოძიება	3			2	1	1	1			3		1			1		4	2	1	2	2	**21**
მონობის აკრძალვა/იძულებითი შრომა	4																					**0**
თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება	5	1	2		1	1	6	2		4				3	3			1			4	**28**
სამართლიანი სასამართლოს უფლება	6	1		2	1	1	4	1		1				1	4	4	7	4	7	6	1	**45**
ხანგრძლივი პროცედურები	6		2			1	2												1			**6**
აღუსრულებლობა	6									1										1		**2**
არავითარი სასჯელი კანონის გარეშე	7																	1				**1**
პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება	8			1			1	1					1	1	1	1			1	1		**9**
აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება	9				1							1			1							**3**
გამოხატვის თავისუფლება	10				1														1			**2**
შეკრების და გაერთიანების თავისუფლება	11									1										2	1	**4**
ქორწინების უფლება	12																					**0**
სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება	13		3	1															1			**5**
დისკრიმინაციის აკრძალვა	14				1							3	2		1			2	6	2	4	**21**
საკუთრების უფლების დაცვა	P1-1		2				1	3									1		1	1	2	**11**
განათლების უფლება	P1-2																					**0**
თავისუფალი არჩევნების უფლება	P1-3					1										1						**2**
ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა	P7-4																					**0**
სხვა მუხლები									2	1				1	2			2				**8**